[illegible] [illegible]



[illegible] [illegible]

ყვარლის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
მისამართი: რუსთაველის ქუჩა 8
ტელ: (+995 352) 22 13 40
ელ-ფოსტა: tickvareli@gmail.com
სამუშაო დღეები: ყოველდღე
სამუშაო საათები: 10:00 – 18:00
(ზაფხული – 09:00 – 18:00)

სიღნაღის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
მისამართი: კოსტავას ქუჩა 10
ტელ: (+995 355) 23 24 14
ელ-ფოსტა: ticsignaghi@gmail.com
სამუშაო დღეები: ყოველდღე
სამუშაო საათები: 10:00 – 18:00
(ზაფხული – 09:00 – 18:00)

თელავის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
მისამართი: ერეკლე II-ს ქუჩა 9
ტელ: (+995 350) 27 53 17
ელ-ფოსტა: tictelavi1@gmail.com
სამუშაო დღეები: ყოველდღე
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00

უფასო ცხელი ხაზი (24/7)
0 800 800 909
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მის:სანაპიროს ქუჩა 4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32)2436999
ელ-ფოსტა: info@gnta.ge
georgia.travel
www.fb.com/GeorgiaAndTravel

არაკომერციული მიზნებისთვის დამზადებულია საქართველოში 2017

კახეთი



კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგენს. მას ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან - აზერბაიჯანი. მისი ფართობი 12,2 ათასი კმ2-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5%-ს შეადგენს. მოსახლეობა 407. 2 ათასი კაცია და წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის 8.3%-ს.

კახეთი 8 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება. მათი უმეტესობა (ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის) შიდა კახეთში მდებარეობს, საგარეჯოს რაიონი და გურჯაანის რაიონის ნაწილი გარე კახეთს მიეკუთვნება. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები კახეთის ცალკე კუთხეს - ქიზიყს შეადგენს. კახეთის ნაწილი იყო დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ზაქათალის, ბელაქანისა და კახის რაიონები, რომლებიც ლაგოდეხთან ერთად ისტორიულ ჰერეთს (საინგილოს) წარმოადგენდნენ.

გეოგრაფია

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და მრავალფეროვანი მხარეა. აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდ კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები 3300 მ-ის და 4500 მ-ის მწვერვალებითა და უღელტეხილებით, ბარაქიანი ველები და ველ-მინდვრები და რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ნახევრად უდაბნო (დედოფლის წყაროსა და საგარეჯოს რაიონებში) ადგილები. საოცრად ლამაზია კახეთის კავკასიონი. იგი ციცაბო ფერდობებით ეშვება ალაზნის ველზე და განუმეორებელ პეიზაჟს ქმნის. კავკასიონის ქედზე არსებული რამდენიმე უღელტეხილიდან ერთ-ერთით - აბანოს უღელტეხილით კახეთი თუშეთს უკავშირდება. საქართველოს ეს უმშვენიერესი პროვინცია ერთი აღუწერელი სილამაზითა და განსაკუთრებული გეოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება. ვინც კახეთში ერთხელ მაინც ყოფილა, მისთვის ეს მხარე მუდამ კარგ ღვინოსთან და გულღია მასპინძლობასთან ასოცირდება, რადგან კახეთი მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული მხარეა. აქ მრავალი ჯიშის ვაზი ხარობს და შესაბამისად მრავალფეროვანი მაღალხარისხიანი ღვინოებიც მზადდება.

ისტორია

კახეთის, ცალკე ტერიტორიული ერთეულის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ერთ-ერთ ძეს კახოსს მიაწერს. მისი მიწა-წყალი იყო კავკასიონსა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყეტბამდე. კახეთის შენებაში კახოსს მისი ძმა კუხოსი ეხმარებოდა, რომლის კუთვნილი ტერიტორიაც არაგვიდან ჰერეთამდე მიწებს მოიცავდა.

კახეთის ცენტრი ახ.წ. III-IV სს-ის მიჯნამდე ბერ-ჩელეთი (ჟალეთი) იყო. ამ დროისთვის მეფე ასფაგურმა ააშენა ქ. უჯარმა, ხოლო მეფე მირიანმა IV ს-ის დამლევს იგი კახეთკუხეთის ცენტრად აქცია. XI ს-ში მხარის დედაქალაქად ქ. თელავი იქცა.

VIII ს-ში კახეთის დღევანდელ ტერიტორიაზე წარმოიქმნა კახეთის ადრეფეოდალური სამთავრო. IX ს-ში კახეთი შიდა ქართლის გარკვეულ ნაწილსაც მოიცავდა მდ. ქსნამდე. კახეთში შედიოდა ხევი ანუ წანარეთი, თუშეთი, ფხოეთი (ფშავ-ხევსურეთი), ასევე ძურძუკეთი და ღლიღვეთი. ქართულ წყაროებში ეს ტერიტორია მოხსენიებულია როგორც "მთიულეთი კახეთისა".

IX-X სს-ში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში კახეთი აქტიურად იყო ჩაბმული. ამ პერიოდში გაერთიანდა კახეთ-კუხეთ-გარდაბანი, X ს-თვის კი უკვე შეიქმნა პირობა კახეთ-ჰერეთის კვლავ შეერთებისა. ერთიანი საქართველოს დროს კახეთი ძლიერი და მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეული იყო.

XV ს-ში საქართველოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა კახეთის სამეფო. მისი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ამ დროისთვის ახალი აშენებული ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი გრემი იყო, თუმცა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად (1614-1617 წწ.) ქ. გრემი განადგურდა და კახეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ცენტრმა კვლავ თელავში გადაინაცვლა. კახეთის სამეფო XIX ს-მდე არსებობდა.

კახეთის ჰავა

კახეთის გეოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანია, აქ გვერდიგვერდაა წარმოდგენილი მთები, ველები და ველ-მინდვრები. ალაზნის ველზე ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა.

აქ ზამთარში საშუალოდ 0°ც-ია, ზაფხულში კი საშუალოდ +23...+25°ც. ალაზნის ველზე ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში 600-დან 1000 მმ-მდე მერყეობს. რაც შეეხება გარე კახეთს (მოიცავს ივრის ზეგანს, გომბორისა და იალნოს ქედების წინა მთებს), აქ მშრალი სუბტროპიკული ჰავაა. მდებარეობს ზღ. დ. 500-900 მ-ზე. აქ ზამთრის საშუალო ტემპერატურაა –0,1°ც...-2,3°ც, ზაფხულის კი +23°ც...+25°ც. ნალექების რაოდენობა ივრის ზეგანზე დაახლოებით 400-600 მმ-ია. განსხვავებული, შედარებით ცივი ჰავაა ცივგომბორის ქედზე, რაც სიმაღლის მომატებასთანაა დაკავშირებული (ცივ-გომბორი ზღ. დ. 1800-2000 მ-ზე მდებარეობს).

თელავი

ყველაზე დიდი ქალაქი კახეთში, დაახლოებით 30 000 მცხოვრებით. თელავი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანაა ცნობილი. X-XI და XVII-XVIII საუკუნეებში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. ქალაქი ცნობილია უმშვენიერესი ხედებით, ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმით, უნივერსიტეტით, დრამატული თეატრით, სურათების გალერეით და განათლებისა და კულტურის სხვა კერებით.

სიღნაღი ციხე-ქალაქი XVIII ს.

სიღნაღი ადრინდელი ციხის ნანგრევებზე თანამედროვე სახით XVIII ს-ის II ნახევარში ერეკლე II-ის დროს აღმოცენდა. მას თითქმის 40 ჰა ფართობი უკავია, ხოლო გალავნის სიგრძე 2,5 კმ-ია. ციხეს 23 კოშკი და 5 შესასვლელი აქვს. თითოეულ კოშკს საკუთარი სახელი ჰქონდა. კოშკებში სათოფურები ისეა განლაგებული, რომ მომდგარი მტრისთვის ნებისმიერ წერტილში შეიძლებოდა დამიზნება როგორც გალავნის გარეთ, ისე მის შიგნით. XIX ს-ის უბნებში შემორჩენილია საცხოვრებელი არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები.

კახეთის კურორტები

არხილოსკალო

დედოფლისწყაროს რაიონი – კლიმატური ტიპის კურორტი. ჰავა მშრალი და სუბტროპიკულია. ზამთარი რბილი (იანვარში საშუალოდ -2°ც), ზაფხული ძლიერ თბილი (აგვისტოში საშ. +23°ც). კურორტზე მიიღებიან ნევროლოგიური პროფილის პაციენტები.

ახტალა

გურჯაანის რაიონი – ტალახით სამკურნალო კურორტი. ჰავა ზომიერად კონტინენტალურია. ზამთარი რბილია (იანვარი +0,9°ც), ზაფხული ძლიერ თბილი (აგვისტოში +23,6°ც). 4-5 ჰექტარის ფართობის ტაფობში აღინიშნება ტალახის ცხრა ძირითადი გამოსავალი.

ახტალის ტალახი არაორგანული წარმოშობისაა. კურორტზე მკურნალობის ჩვენებებია მოზრდილთათვის საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებები; ბავშვთათვის ცერებრალური დამბლისა და პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები დროს.

უჯარმა

საგარეჯოს რაიონი – ბალნეო-კლიმატური ტიპის კურორტი. მდებარეობს ივრის მთების ზეგანზე, ზღ. დ. - 900 მ. ზამთარი რბილია (იანვარში 0°ც), ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად მშრალი (აგვისტოში +22°ც). აქ გამოვლენილია თერმული მინერალური წყლები მრავალი ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტებით. მინერალურ წყლებს იყენებენ სააბაზანო პროცედურების სახით, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, კარდიოლოგიური, ნერვული და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებათა სამკურნალოდ.

ყვარელი

ყვარლის რაიონი – რაიონული ცენტრიდან 8-კმ-ზე. მდ. ალაზნის ხეობაში, ზღვის დონიდან 450 მ-ის სიმაღლეზე. ზამთარი რბილია, უთოვლო (იანვარში +1 ც.), ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ტენიანი (აგვისტოში +23 ც.)

ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია ორი ტიპის მინერალური წყალი, რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ აბაზანების სახით საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლის შემთხვევებში.

ყურძნის ძირითადი ჯიშები

რქაწითელი - თეთრყურძნიანი აბორიგენული ვაზის საღვინე ჯიში. გვხვდება კახეთის ყველა რაიონში. გამოიყენება სასუფრე ჯიშადაც. ხასიათდება უხვი მოსავლიანობით. კახეთის პირობებში სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის შუა რიცხვებიდან.

კახური მწვანე - თეთრყურძნიანი აბორიგენული ვაზის საღვინე ჯიში. გვხვდება ძირითადად საგარეჯოს რაიონში, კერძოდ სოფ. მანავის ზონაში, სადაც საუკეთესო თვისებებს ამჟღავნებს. ნორმალურ პირობებში კარგი მოსავლიანობით ხასიათდება.

ხიხვი - საქართველოს უძველესი აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიში. იგი ძირითადად გურჯაანის რაიონში გვხვდება, კერძოდ კი სოფელ კარდენახის ზონაში. მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან შემაგრებულ ლიქიორის ტიპის ღვინოებს. ჯიში მცირე მოსავლიანობით ხასიათდება.

ქისი - ქართული თეთრყურძნიანი აბორიგენული ვაზის საღვინე ჯიში. ქისს შუალედური ადგილი უკავია რქაწითელსა და კახურ მწვანეს შორის. მისი ღვინოები გამოიყენება როგორც სასუფრედ, ისე შამპანურის დასამზადებლად.

საფერავი - კახეთის აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიში. საფერავი მგრძნობიარეა კლიმატური პირობებთან, ამიტომ მისი გავრცელების არეალი კახეთში შეზღუდულია. საფერავი იძლევა განსხვავებული ღირსებების მქონე სუფრის ღვინოს, გამოირჩევა მაღალი შაქრიანობით. მისგან მზადდება როგორც მშრალი, ისე ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო "ქინძმარაული".

კაბერნე-სოვინიონი - ფრანგული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. მასობრივად ბურგუნდიის მხარეშია გავრცელებული, სადაც გამოიყენება სახელგანთქმული "ბურგუნდიული" ღვინის დასამზადებლად. საქართველოში მისი გავრცელების არეალია თელავის და ყვარლის რაიონები. მისგან მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოებს ამზადებენ.

კულტურული მემკვიდრეობა

ახმეტის რაიონი

ალავერდი

საკათედრო ჯვარგუმბათიანი ტაძარი XI ს.

ალავერდის მონასტერი VI ს-ის II ნახევარში ასურელი მამის იოსებ ალავერდელის მიერაა დაარსებული, რომელიც იქვეა დაკრძალული.

ალავერდის წმ. გიორგის ტაძარი კახთა მეფემ კვირიკემ XI ს-ში ააგო. მისი სიმაღლე 50 მეტრია. შემორჩენილია XI და XV-XVI სს-ის მხატვრობის ნაშთები.

ალავერდს მრავალჯერ ჩაუტარდა რესტავრაცია: ბრძოლებისგან დაზიანებული ტაძარი 1476-95 წლებში აღადგინეს; XVII ს-ში ირანელებს იგი თავლად გადაუკეთებიათ; 1742 წელს კი დიდმა მიწისძვრამ გუმბათი ჩამოშალა, რომლის აღდგენაც დედოფალმა თამარმა დაიწყო და 1750 წ. მისმა ძემ ერეკლე II-მ დაასრულა. ალავერდი მნიშვნელოვანი სასულიერო და საგანმანათლებლო ცენტრი იყო.

მატანი

ციხე, სამონასტრო კომპლექსი XVIII ს.

ამ ციხეს არ აქვს კარიბჭე, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ის არ იყო სათემო დანიშნულების, არამედ მხოლოდ ციხე-დარბაზი, რომელიც ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდათ. მატანის ციხე იმითაცაა გამორჩეული, რომ მისი ყველა კოშკი ერთი სიმაღლისაა. ციხის შიგნით სასახლე და ეკლესია იდგა. მატანის სიმაგრე XVIII ს-ის ციხე-დარბაზთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა. სოფ. მატანიდან დას-ით 3-4 კმ-ის დაშორებით ცნობილი სამონასტრო კომპლექსი "მატანის ცხრაკარი" მდებარეობს (V-XVI სს.).

გურჯაანის რაიონი

გურჯაანის ყველაწმინდა



ორგუმბათიანი ეკლესია VIII ს.

გურჯაანის ყველაწმინდა ქართული კულტურის გარდამავალი პერიოდის შესანიშნავი ნიმუშია. ღვთისმშობლის მიძინების VIII ს-ის ეკლესია უნიკალურია იმით, რომ იგი ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარია საქართველოში. გარშემოსავლელი მეორე სართულზე აქვს. მრავალ გადმოცემათაგან ერთ-ერთი გვამცნობს, რომ აქ ღვთისმშობლის სასწაულით ტაძრის კედლებიდან რძე მოდიოდა, ამიტომ აქ განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ მეძუძური და რძედამშრალი დედები. მოლოცვის შემდეგ ისინი განკურნებულები ბრუნდებოდნენ შინ. დღეს აქ მოქმედი მამათა მონასტერია.

ვაჩნაძიანი



სამონასტრო კომპლექსი VIII-IX სს.

შემორჩენილია VI-VII სს-ის სამეკლესიანი ტაძრის ნანგრევები, რომელიც მეწყერის დაუნგრევია. მის აღმოსავლეთით ყველაწმინდის ჯვარგუმბათიანი ტაძარი დგას, რომელიც VIII-IX სს-ის მიჯნას ეკუთვნის და გარდამავალი პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია. IX ს-ში აქ მონასტრის სასწავლებელი და ბიბლიოთეკა იყო. გადმოცემით, თამარ მეფისა და რუსთაველის თანამედროვე დიდ ქართველ პოეტს ჩახრუხაძეს აქ მიუღია განათლება.

დედოფლისწყაროს რაიონი

ოზაანი/ვაზიანის ამაღლება



გუმბათიანი ეკლესია X ს.

X საუკუნის გუმბათიანი ეკლესია XI-XIII სს-ის მხატვრობით. საკურთხეველში მოჭიქული იატაკი ყოფილა. კანკელი ტაძრის თანადროულია. ამბობენ, აქ თამარ მეფისა და დავით სოსლანის ფრესკა იყო, რომელიც XX საუკუნეში ჩამოირეცხილა. არაერთ საოცარ ამბავს ყვებიან ვაზიანთან დაკავშირებით. არსებობს საინტერესო გადმოცემა ამ ტაძრის მხატვარ მიქაელსა და თამარ მეფის მანდილზე.

ხორნაბუჯი

ციხე-ქალაქი V ს.

აქ ციხე-ქალაქისა და საეპისკოპოსო კათედრალის დაარსება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ხორნაბუჯი საქართველოს ისტორიული მხარის კამბეჩოვანის ცენტრი იყო. ისტორიის განმავლობაში მას ყოველთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. XIII საუკუნეში ხორნაბუჯი მონღოლთა სარდალმა ბერქა-ყაენმა საგრძნობლად დააზიანა. XVII ს-ის დასაწყისში იგი ირანელების მფლობელობაში აღმოჩნდა. ციხე დამპყრობლებისაგან 1625 წელს გიორგი სააკაძემ გამოიხსნა.

თელავის რაიონი

ახალი შუამთა



ჯვარგუმბათიანი ტაძარი XVI ს.

ამ ტაძრის აგებასთან დაკავშირებით ასეთი თქმულება არსებობს: გურიელის ასულ თინათინს სიყრმეში სიზმარი უნახავს, რომ მას თავადი შეირთავდა ცოლად, რომლის მამულშიც იგი თეთრ შინდს დაინახავდა და იქ ღვთისმშობლის ტაძარი უნდა აეგო. მართლაც, თინათინი კახთა მეფე ლევანმა ითხოვა და ჩვენებაც ახდა. დედოფალი მისივე აგებულ ტაძარშია დაკრძალული. ახალი შუამთა XVI ს-ის შუახანებით თარიღდება. მხატვრობა თანადროულია. 1762 წ. ერეკლე II-მ აღადგინა დაზიანებული ტაძარი. XIX ს-ში იგი გარედან შეათეთრეს.

ძველი შუამთა



სამონასტრო კომპლექსი V-VII სს.

ძველ შუამთაში შემონახულია დღესდღეობით საქართველოში არსებული ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია - V ს-ის სამნავიანი ბაზილიკა. ორი ჯვარგუმბათიანი ეკლესია კი VII ს-ეს განეკუთვნება. ამ ეკლესიათა კედლებზე შემორჩენილია ფრესკებისა და ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. კომპლექსი ტყიან მთებს შორის ისეთ ტაფობზე დგას, რომ სამი მხრიდან ბუნებრივადაა დაცული, მეოთხე მხრიდან კი სქელი კედელი იყო აღმართული. ამბობენ, შუამთის გორაკზე წმინდა მეფე თამარი ყველასგან განმარტოებულა და 40 დღე-ღამე უმარხულიაო.

იყალთო

მონასტერი და აკადემია VI-XII სს.

იყალთოს მონასტერი ასურელმა მამამ ზენონმა დააარსა VI ს-ში. ძველი ტაძრის ადგილას VIII-IX სს-ში აიგო ფერიცვალების სახელობის ახალი ტაძარი "ღვთაება". მის აღმოსავლეთით VI ს-ის სამების მცირე ეკლესია დგას. XI-XII სს-ში ცნობილი ისტორიული პირისა და დიდი მოღვაწის, დავით აღმაშენებლის მოძღვრის არსენ იყალთოელის ინიციატივით იყალთოში აიგო აკადემია. დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი. მის პირველ სართულზე ორი ოთახი იყო, ხოლო მეორეზე ერთი დიდი დარბაზი სამეცნიერო შეკრებებისთვის. აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, მათემატიკა, ასტრონომია, აგრონომია.

გადმოცემით ზენონიც და არსენიც მონასტერში არიან დაკრძალულნი.

ლაგოდეხის რაიონი

ლელიანი

სამონასტრო კომპლექსი X-XI სს.

წმ. თევდორეს X-XI სს. სამეკლესიანი ბაზილიკის დახვეწილი ფორმები და გეგმარება მიგვითითებს მის დიდ მნიშვნელობაზე, თუმცა XVI-XVII სს-ის რესტავრაციამ შესამჩნევი კვალი დაამჩნია ეკლესიის არქიტექტურას.

ლელიანის ტაძარს მეფე ალექსანდრე I-ის (1574-1605) დროს გაუკეთდა რესტავრაცია. რუსი ელჩების სტუმრობისას 1590 წ. განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ ისინი ამ მონასტერში გაჩერდნენ, მოინახულეს დიდი და მშვენიერი ტაძარი, რომ მეფემ დაათვალიერებინა ლელიანის ძვირფასი ხატები, ღვთისმსახურების ნივთები, სამკაულები და აჩვენა თუ რა გულმოდგინებით ცდილობდა ტაძრის შემკობას.

საგარეჯოს რაიონი

გარეჯი

კლდეში კვეთილ მონასტერთა კომპლექსი VI-XVIII ს.

ათეულობით ჰექტარზე გადაჭიმული გარეჯი საქართველოს უდიდეს სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს: დავითის ლავრა, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, უდაბნო, წამებული, ქოლაგირი-ლავრაში შემავალი მონასტრებია. მათი რაოდენობა ერთ დროს თორმეტს შეადგენდა, ამ ხანიდან უნდა იყოს შემორჩენილი სახელწოდება "გარეჯის ათორმეტი მონასტერი". ანსამბლი მოიცავს როგორც კლდეში ნაკვეთ, ისე არქიტექტურულ ნაგებობებს. გარეჯი სამეფო მონასტერი იყო, ქართველი მონარქები მას ხშირად სწირავდნენ მიწებს და უხვად ასაჩუქრებდნენ. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ისტორიული პირები, აქვე შეიქმნა საგალობელი "შენ ხარ ვენახი".

მონასტრის დამაარსებელია ასურელი მამა დავით გარეჯელი, რომელიც თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად აქ VI ს-ში დამკვიდრდა. გარეჯი არქიტექტურის გარდა გამორჩეულია კედლის მხატვრობის უმაღლესი ნიმუშებით, რომელიც თავისუფალია ბიზანტიური გავლენისგან. აქ შეხვდებით VI ს-დან დაწყებულ თითქმის ყველა დროის სამშენებლო და მხატვრობის ფენას. გარეჯი ხშირად ირბეოდა. 1616 წელს შაჰ აბასმა აქ 6000 ბერი ამოხოცა და მონასტერი გაძარცვა.

მანავი

გუმბათიანი ეკლესია XVIII ს.

გუმბათიანი ეკლესია ნახევრად რიყის ქვით და ნახევრად აგურითაა ნაგები. შემორჩენილია იმ წარწერის შინაარსი, რომელიც ერთ დროს ამშვენებდა ტაძარს; იქიდან ვიგებთ, რომ ეკლესია 1794 წელს დავით გარეჯის ლავრის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს ეფთვიმეს აუგია მეფე ერეკლე II-ის დასტურით. დიდი ხანი იდგა ტაძარი უმოქმედოდ და ხალხი მას პირუტყვის შესარეკ სადგომადაც კი იყენებდა.

კანარეთი (ხაშმი)



მონასტერი, სამნავიანი ბაზილიკა V-VI სს.

დასახლება კანარეთი (ხაშმი) იმ მნიშვნელოვან საუღელტეხილო გზაზე მდებარეობდა, რომელიც ივრის ხეობას მთიან ზოლთან აკავშირებდა. მეფე ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ამ ადგილას გაჩერებულა და გამარჯვების წილ უფლისთვის სამების ტაძრის აგება შეუთქვამს. კანარეთი V-VI სს. დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკაა. იგი რამდენჯერმე საფუძვლიანადაა გადაკეთებული. პერანგი და მოხატულობა XVI ს-ისაა. შემორჩენილია სასახლის ნანგრევები, გალავნის ნაშთები, გალავანში ჩაშენებული კოშკი.

სიღნაღის რაიონი

ბოდბე

სამონასტრო კომპლექსი IV-IX სს.

ტაძრის აგება - დამშვენება მიეწერება საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე მირიანსა და მის ძეს ბაქარს. აქ აღესრულა და აქვეა დაკრძალული ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო. თანამედროვე სახე ტაძარმა IX ს-ში მიიღო. 1823 წელს რესტავრაცია ჩაუტარებიათ და მოუხატავთ. ბოდბე ყოველთვის დიდი მნიშვნელობის სამონასტრო და საგანმანათლებლო ცენტრი იყო, ის ამავე დროს დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. იგი თავის მნიშვნელობას კავკასიის მასშტაბით ცარიზმის დროსაც (XIX ს.) ინარჩუნებდა.

ხირსა



მონასტერი VI ს.

ქალაქური ტიპის დასახლება აქ ძვ. წ. VI-IV სს-დან არსებობდა. მონასტერი კი ასურელი მამის სტეფანე ხირსელის მიერაა VI ს. დაარსებული. იგი იქვეა დაკრძალული. მის საფლავს თურმე არა მხოლოდ ქართველნი, მაჰმადიანი ლეკებიც სცემდნენ თაყვანს. ტაძრის პირველი ფენა VI ს-ისაა, X ს-ში კი იგი ჯვარგუმბათიანად გადააკეთეს. იგი XI და XVI სს-შიც შეუკეთებიათ. ერეკლე II-ის დროს ხირსა ჯარის შეყრის ადგილი იყო.

ყვარლის რაიონი

გრემი



ჯვარგუმბათიანი ეკლესია XVI ს.

დიდებული ქალაქ გრემის ისტორია ხანმოკლე იყო - XVI ს-დან XVII ს-ის პირველ ათწლეულში იგი კახეთის დედაქალაქი იყო. ქალაქი შედგებოდა საეკლესიო კომპლექსის, სამეფო რეზიდენციისა და სავაჭრო უბნებისაგან. მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც გვიან შუასაუკუნეების კახური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შედევრია, 1565 წელსაა აგებული, მოხატვა კი 1577 წ. დაუმთავრებიათ. აქ დიდი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა მიმდინარეობდა. XVII ს-ის დასაწყისში შიდა არეულობამ, ლალატმა და საბოლოოდ შაჰ-აბასის ამაოხრებელმა შემოსევებმა მიწასთან გაასწორა მთლიანად კახეთი. ქალაქი გრემიც ველარასოდეს აღორძინდა.

ნეკრესი



სამონასტრო კომპლექსი IV-VI სს.

ქალაქი ნეკრესი მეფე ფარნაჯომმა ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე დააარსა. ახ.წ. IV ს-ში მეფე თრდატმა აქ ეკლესია ააგო. იგი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა. VI ს-ში აქ ერთ-ერთი ასურელი მამა აბიბოსი დამკვიდრდა და დააარსა ძლიერი მონასტერი. ნეკრესი არამარტო სასულიერო, საგანმანათლებლო და კულტურული, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრიც იყო. აქედან ვრცელდებოდა ქართული პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმ. კავკასიის მთიანეთზე.

ნეკრესის კომპლექსში შედის - IV ს-ის მცირე ბაზილიკა, VI ს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა, VIII-IX სს. თავისებური გეგმარების გუმბათიანი ეკლესია, ამავე პერიოდის სასახლე, სტრაპეზო, XVI ს-ის კოშკი და სხვ. შემონახულია შუასაუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშები.

დღეს ნეკრესში მოქმედი მამათა მონასტერია.

ძველი გავაზი

ჯვარგუმბათიანი ეკლესია V-VI სს.

ძველი გავაზის (დღევ. ახალსოფლის) ღვთისმშობლის ტაძარი ტეტრაკონქია და იგი ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლია. იგი V-VI სს-ით თარიღდება. ამ ეკლესიისთვის არაერთხელ მოუხსნიათ ჯვარი და ჩამოუნგრევიათ გუმბათი, შაჰ აბასს თავლად უქცევია, მაგრამ კედლებმა ყველაფერს გაუძლეს. XVII ს-დან აქაურობა გაუკაცრიელებული იყო და მხოლოდ 1850 წელს ცნობილმა მოღვაწეებმა ალექსანდრე აფხაზმა და ივანე ამილახვარმა აღადგინეს ტაძარი და განაახლეს სოფელი.


ინგუშეთი
ჩეჩნეთი
მცხეთა მთიანეთი
დაღესტანი
აზერბაიჯანი
ქვემო ქართლი
თელავი
ახმეტა
ყვარელი
ლაგოდეხი
გურჯაანი
სიღნაღი
წნორი
საგარეჯო
დედოფლისწყარო
თუშეთის ნაკრძალი
ილტოს ნაკრძალი
ბაწარის ნაკრძალი
ლაგოდეხის ნაკრძალი
მარიამჯვრის ნაკრძალი
ვაშლოვანის ეროვნული პარკი
ვაშლოვანის ნაკრძალი
ჭაჭუნის აღკვეთილი
ივრის აღკვეთილი
შირაქის ველი
ტარიბანას ველი
ივრის ველი
მთ. დიკლოსმთა 4285
მთ. ბაბუნაღვერი 3491
მთ. ტებულოსმთა 4492
მთ. ქომიტო 4261
მთ. ბისნაკა 3116
მთ. გუთონის თავი 3007
უღ. ნაკერალი 1191

დასათვალიერებელი ადგილები

ეკლესია/მონასტერი

ახალი შუამთა	B3
აკურა	B3
ალავერდი	B3
ალვანი	A3
ბოდბე	C4
გრემი	B3
გურჯაანის ყველაწმინდა	C4
ვაჩნაძიანი	B3
ვეჯინი	C4
ზეგაანი	B3,4
იყალთო	B3
კარდენახი	C4
კვეტერა	A3
კისისხევი	B3
კონდამიანი	B3
კონდოლი	B3
ლელიანი	C3
მანავი	B4
მატაანი	A3
ნეკრესი	C3
ნინოწმინდა	A4
ოზაანი	C4
ორმოცნი	B3
ოჟიო	B3
საბერეები	B4
სანაგირე	B3
შიხიანის აღდგომა	B3
ხაშმი	A3
ხირსა	C4
ძველი გავაზი	C3
ძველი შუამთა	B3
ელიას ეკლესია	D4
თეთრი გიორგის ეკლესია	A3
ხოშატიანის ეკლესია	C3
"დიდთა ძალითა ლაგოდეხი"	D3
დავით გარეჯა	B4
საბაწმინდის მონასტერი	C4
ზემო მაჩხაანის ეკლესია	C4
წმ. სამების ეკლესია	C4
წმ. გიორგის ეკლესია	B4

ციხესიმაგრე

ბატონის ციხე	B3
კვეტერა	A3
სიღნაღი	C4
უჯარმა	A4
ყვარელი	C3
ხორნაბუჯი	D4
ჭერემი	B4
ჭეხილა	A3
ნიახურას ციხე	B4

მუზეუმი

ს. მირიანაშვილის სახლ-მუზეუმი	C4
ს. შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი	B3
ფ. მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი	C4
ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	A3
გავაზის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	C3
გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	C4
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	D4
თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	B3
ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	D3
საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	A4
სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	C4
ვაჩნაძიანის ისტორიული მუზეუმი	B3
ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი	B3
ა. გზირიშვილის სახლ-მუზეუმი	C4
გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი	A4
ვ. გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი	C4
ვ. სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმი	C4
ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი	C3
ი. ევდოშვილის სახლ-მუზეუმი	C4
ი. მოსაშვილის სახლ-მუზეუმი	C4
კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი	C3
ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი	C4
ნ. ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმი	D5
რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი	A3
ძმები შალიკაშვილების მუზეუმი	C4

სხვა ღირშესანიშნაობანი

დავით გარეჯა	B4
დართლო	B2
დიკლო	B2
ომალო	B2
ნაომარი გორა	C4
ხორაუგის ქვაბები	A3
პატარა ჭიანტბა	A3
დურუჯის ლოდი	C3
ჭალის მუხა	A4
უდაბნოს სვეტი	B4
ქვაბების ნამარხი ფაუნა	B4
არწივის ხეობა	D4
ქართული მუხა	C4
კურ. ახტალა	C4
აღმოსავლეთის ჭადარი	D4
ფორფოტები	C5
ქილაკუპრი	C5,D5
ალაზნის ჭალის ტყე	

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები

თელავი	B3
სიღნაღი	C4
ყვარელი	C3

ღვინის მარანი და მეღვინეობა

"ბადაგონი"	A3
პაპა ზურაბოს ღვინის მარანი	A3
პეტრიაშვილის ღვინის მარანი	A3
"ალავერდი"	C4
ალავერდის მონასტრის მარანი	B3
ციხელაშვილის მარანი	A3
"გიოს მარანი"	C3
"ნოდარის მარანი"	C3
"ღვინის სახლი გურჯაანი"	C4
"ჩვენი ღვინო"	C4
"მარანი-მუზეუმი ნუმისი"	C3
"სიმონას ზაოტი"	C4
"ველისციხის ვერანდა"	C3
"ნიკოლაშვილის ბიო-პროდუქტები"	C4
"მანავის სამეფო ზვრები"	B4
"ჯი-ვი-ეს"	B3
"კახური"	B3
"შუხმანის ღვინოები"	B3
"შატო თელავი"	B3
"თელავის ღვინის მარანი"	B3
"ტყუპების ძველი მარანი"	B4
"კახური ეზო"	B3
"წინანდლის ედემი"	B3
"შატო მერე"	B3
"შუმი"	B3
"თელიანი ველი"	B3
"წინანდლის ძველი მარანი"	B3
"ღვინოვ კახურო გონაშვილისა"	E4
მარანი "ნიკა"	D4
"ხოხბის ცრემლები"	D4
"ხოხბის ცრემლები"	E4
"ენისელი ბაგრატიონი"	D3
ნეკრესის მონასტრის ღვინის მარანი	D3

პირობითი აღნიშვნები

დასახლებული პუნქტი

- რეგიონის ცენტრი
- მუნიციპალიტეტი
- საკრებულოს ცენტრი
- სოფელი

ჰიდროგრაფია

- მუდმივი ჩამონადენის მქონე მდინარე
- შრობადი მდინარე
- ტბები და წყალსაცავები
- მყინვარი

გზები

- საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალი (ავტობანი)
- სახელმწიფო მნიშვნელობის გზატკეცილი
- სახელმწიფო მნიშვნელობის გრუნტი
- მაგისტრალი
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
- გაუმჯობესებული გრუნტი
- სასოფლო
- საველე და ტყის გზები
- ბილიკები

საზღვრები

- სახელმწიფო საზღვარი
- ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარი
- რეგიონის საზღვარი

- X უღელტეხილი მოქმედების ვადით და სიმაღლის ნიშნულით მეტრებში
- ▲ მთის მწვერვალი სიმაღლის ნიშნულით მეტრებში
- ვერტმფრენის მოედანი
- ■ ნასოფლარი
- ⁘ ნანგრევი

N
W E
S

მასშტაბი 1 : 350 000

1 სანტიმეტრს ადგილზე შეესაბამება 3.5 კმ

0 2.5 5 კმ

GEOLAND
GeoLand Ltd 2012
www.geoland.ge

სიმბოლოები

- ეკლესია/მონასტერი
- სამონასტრო კომპლექსი
- ისტორიული კოშკი
- ციხე-სიმაგრე
- არქეოლოგიური ძეგლი
- ვერტმფრენის მოედანი
- კურორტი
- გამოქვაბულთა კომლექსი
- მუზეუმი
- ისტორიული ხიდი
- ისტორიული ძეგლი
- წყალჯომარდობა
- მღვიმე/გამოქვაბული
- ბუნების ძეგლი
- ფრინველებზე დაკვირვება
- ლაშქრობა ცხენით
- ლაშქრობა
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
- დაცული ტერიტორია
- გადასახედი
- სალოცავი
- ღვინის მარანი
- მეღვინეობა